ხელშეკრულება N 202/5

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

თბილისი 22 იანვარი, 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „ქალაქ თბილისიის N202 საჯარო სკოლა" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დროებით მ/შემსრულებლის თამარ ხვედელიძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,რიო", (შემდგომში „მიმწოდებელი"), დირექტორის მარიამ ელბაქიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და სახემწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2019წლის 18 იანვრის N317 განკარგულება SMP190000275 საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებობით შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:**

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ „ქალაქ თბილისიის N202 საჯარო სკოლის" მიერ ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული პროდუქტების შესყიდვა

**CPV 03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული**

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1 შესაძენი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 357.80 (სამასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 80თეთრი) ლარს.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 ხელშეკრულების საგანის საერთო ღირებულება საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადებისა და მოსაკრებლების ჩათვლით.

2.3 შესაძენი საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობაა:

| N | პროდუქტების დასახელება | CPV | განზომილება | სულ რაოდენობა | ფასი | სულ თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვაშლი | CPV 03222321 | კგ | 65,00 | 2 | 130 |
| 2 | ლიმონი | CPV 03222210 | კგ | 3,00 | 4 | 12 |
| 3 | ჭარხალი | CPV 03221110 | კგ | 5,00 | 1,5 | 7,5 |
| 4 | კარტოფილი | CPV 03212100 | კგ | 50,00 | 1,5 | 75 |
| 5 | სტაფილო | CPV 03221112 | კგ | 25,00 | 1,5 | 37,5 |
| 6 | ხახვი | CPV 03221113 | კგ | 13,00 | 1,4 | 18,2 |
| 7 | კომბოსტო | CPV 03221410 | კგ | 15,00 | 1 | 15 |
| 8 | კომბოსტო (ყვავილოვანი) | CPV 03221420 | კგ | 9,00 | 4 | 36 |
| 9 | სალათის ფოთოლი | CPV 03221320 | კგ | 1,00 | 7 | 7 |
| 10 | კიტრი | CPV 03221270 | კგ | 1,50 | 2,5 | 3,75 |
| 11 | პომიდორი | CPV 03221240 | კგ | 2,50 | 2,5 | 6,25 |
| 12 | ბადრიჯანი | CPV 03221000 | კგ | 2,00 | 2 | 4 |
| 13 | ბულგარული წიწაკა | CPV 03221230 | კგ | 0,20 | 3 | 0,6 |
| 14 | ნიორი | CPV 03221110 | კგ | 1,00 | 5 | 5 |
| | სულ | | | | | 357.80 |

2.4 ხელსეკრულებას თან ერთვის პროდუქციის ჩამონათვალი მახასიათებლებით (დანართი 1)

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარისსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4 ანგარიშსწორება განხორციედება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების'' აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 საბანკო სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4.საქონლის მიწოდების ხარისხი, ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხარისხიან პროდუქციაზე.

4.2 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2019 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

4.3 საქონლის მოწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე: სსიპ ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა სკოლა-პანსიონი) (მისამართი: ქ. თბილისი, გუთნის ქ. #6).

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**5.1** შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების

შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3(სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

6.3 ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამოვერ ასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარე პასუხისმგებელია და ვალდებულებები განახლდეს ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულებაში პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარენებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობთ, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაზღვევა**

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, მეორე - შემსყიდველთან

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**15. მხარეთა რეკვიზიტები**

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| --- | --- |
| სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა<br>ს/კ: 206091398<br>მისამართი: ქ. თბილისი, გუთნის ქ. #6<br><br>დირექტორის დროებით მ/შემსრულებელი<br>თამარ ხვედელიძე | შპს „რიო"<br>ს/კ 406125296<br>სს „თიბისი ბანკი"<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ა/ა GE40TB7445236080100006<br>დირექტორი<br>მარიამ ელბაქიძე |

საქართველო, თბილისი, 0103, გუთნის ქ.N6

tbilisi202@mes.gov.ge

ხელშ. N 202/5
დანართი 1

**პროდუქციის ჩამონათვალი მახასიათებლებით**

| N | პროდუქტების დასახელება | მახასიათებლები | CPV | განზომილება | სულ რაოდენობა | ფასი | სულ თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვაშლი | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს უმაღლესი ან პირველი ხარისხის, საშუალო ზომის (6–9სმ), სახეობის შესაბამისად (ივერია,სტარტი, გოლდენდელიშესი), მკვრივი, საღი, მწიფე, ჭკნობის ნიშნების, მავნებლების, მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანებების გარეშე. დაფასოებული ყუთებში. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | CPV 03222321 | კგ | 65.00 | 2 | 130 |
| 2 | ლიმონი | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს საშუალო ზომის (5-7სმ), ნარინჯისფერი, ყვითელი ან მოყვითალო შეფერილობის, მკვრივი, საღი, ჭკნობის ნიშნების, მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანებების გარეშე. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | CPV 03222210 | კგ | 3.00 | 4 | 12 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ჭარხალი | -თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, პრიალა ზედაპირით, ნაკლებადძარღვიანი, მუქი წითელი ფერის. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტერიოლოგიური, სოკოვანი და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები, ნეკროზული ლაქების გარეშე. ბოლქვის დიამეტრი 8-12 სმ-მდე. მიწის შემცველობა არ უნდა იყოს საერთო წონის 0,5%-ზე მეტი. სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.<br>მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | CPV 03221110 | კგ | 5.00 | 1.5 | 7.5 |
| 4 | კარტოფილი | -თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს მშრალი, მკვრივი, საღი, ღივის გარეშე, სუფთა, მიწის შემცველობა არ უნდა იყოს საერთო წონის 1%-ზე მეტი. არ უნდა აღენიშნებოდეს გულის სიდამპლე, ტუბერის მექანიკური, ბაქტეროლოგიური და სხვადასხვა მავნებლებისგან მიყენებული დაზიანებები, არ უნდა იყოს მოყინული და მომწვანო შეფერილობის. თითოეულ მოწოდებულ პარტიაში კარტოფილის მინიმალური დიამეტრი უნდა იყოს არანაკლებ 7 სმ-ისა. დასაშვებია საერთო წონასთან შეფარდებით არაუმეტეს 20 %-ისა ტუბერის დიამეტრი იყოს 6-7 სმ. გამოსავლიანობა პირველადი დამუშავების შემდეგ - არანაკლებ 75%. თითოეული კარტოფილის საშუალო წონა უნდა იყოს 100-300 (+-15) გრამამდე.<br>სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა [illegible] | CPV 03212100 | კგ | 50.00 | 1.5 | 75 |
| 5 | სტაფილო | -თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს მშრალი, მკვრივი, საღი, სუფთა, მოყინვის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტეროლოგიური, სოკოვანი და სხვადასხვა მავნებლებისგან მიყენებული დაზიანებები. თითოეულის მინიმალური სიგრძე არანაკლებ 13-20 სმ. - სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | CPV 03221112 | კგ | 25.00 | 1.5 | 37.5 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ხახვი | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს თხელფოთლიანი, საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ღივის და მოყინვის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანებები. მინიმალური დიამეტრი 5-7სმ.<br>–სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | CPV 03221113 | კგ | 13.00 | 1.4 | 18.2 |
| 7 | კომბოსტო | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს მშრალი, მკვრივი, თხელკანიანი, საღი, სუფთა, მოყინვის, შავი წერტილების გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტეროლოგიური, და სხვადასხვა მავნებლებისგან მიყენებული დაზიანებები. თითოეულის მინიმალური დიამეტრი არანაკლებ 15-25 სმ. – სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | CPV 03221410 | კგ | 15.00 | 1 | 15 |
| 8 | კომბოსტო (ყვავილოვანი) | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს მომწვანო–მოთეთრო შეფერილობის, მშრალი, საღი, სუფთა, მოყინვის და შავი წერტილების გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტეროლოგიური, და სხვადასხვა მავნებლებისგან მიყენებული დაზიანებები. თითოეულის მინიმალური დიამეტრი არანაკლებ 12-15 სმ. – სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | CPV 03221420 | კგ | 9.00 | 4 | 36 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | სალათის ფოთოლი | მშრალი, მკვრივი, საღი, სუფთა, მოყინვის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური, ბაქტერიოლოგიური, სოკოვანი და სხვადასხვა მავნებლებისაგან მიყენებული დაზიანებები. უნდა იყოს დაფასოებული, პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი, შეფუთვა/ტარა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს | **CPV 03221320** | კგ | 1.00 | 7 | 7 |
| 10 | კიტრი | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს კონკრეტული ჯიშისათვის დამახასიათებელი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით, საშუალო ზომის, მკვრივი, საღი, ქქნობის ნიშნების, მავნებლების, მექანიკური, ბაქტერიოლოგიური დაზიანებების და ჭარბი ნიტრატების გარეშე.ყუთებში. თითოეულის დიამეტრი არანაკლებ 15-18 სმ. –სურსათის უვნებლობა, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | **CPV 03221270** | კგ | 1.50 | 2.5 | 3.75 |
| 11 | პომიდორი | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს წითელი შეფერილობის, საშუალო ზომის, მკვრივი, საღი, მწიფე. მავნებლების, მექანიკური, ბაქტერიოლოგიური დაზიანებების და ჭარბი ნიტრატების გარეშე. ყუთებში. თითოეულის დიამეტრი არანაკლებ 5–8 სმ. –სურსათის უვნებლობა, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.<br>მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | **CPV 03221240** | კგ | 2.50 | 2.5 | 6.25 |
| 12 | ბადრიჯანი | –თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს საშუალო ზომის, მკვრივი, საღი, ნაკლებთესლიანი, მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანებების გარეშე. თითოეულის დიამეტრი 5–8სმ, სიგრძე 15–22სმ –სურსათის უვნებლობა, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | **CPV 03221000** | კგ | 2.00 | 2 | 4 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | ბულგარული წიწაკა | -მკვრივი, მშრალი, საღი, მექანიკური, ბაქტერიოლოგიური დაზიანებების და მავნებლების გარეშე. სიგრძე არ უნდა იყოს 8 სმ-ზე ნაკლები. -სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე. | **CPV 03221230** | კგ | 0.20 | 3 | 0.6 |
| 14 | ნიორი | -თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს საღი, სუფთა, მშრალი, მკვრივი, ღივის გარეშე. არ უნდა აღენიშნებოდეს მექანიკური და ბაქტერიოლოგიური დაზიანებები. მინიმალური დიამეტრი 4-6 სმ-მდე. გულის გამოსავლიანობა არანაკლებ 80%-სა. მიწის შემცველობის გარეშე. -სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. | **CPV 03221110** | კგ | 1.00 | 5 | 5 |
| | | | | | | | |
| | **სულ** | | | | | | **357.8** |

**„შემსყიდველი“**
**სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა**
**ს/კ: 206091398**
**მისამართი: ქ. თბილისი, გუთნის ქ. #6**

**დირექტორის მ/შემსრულებელი**
**თამარ ხვედელიძე**

**„მიმწოდებელი“**
**შპს ,,რიო“**
**ს/კ 406125296**
**სს ,,თიბისი ბანკი“**
**ბანკის კოდი: TBCBGE22**
**ა/ა GE40TB7445236080100006**
**დირექტორი**
**მარიამ ელბაქიძე**

მარიამ ელბაქიძე